წმიდა მოწამე

აგო ტფილელი

ე. ბ.

ტფილისი

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, ნიკოლ. № 21.

Типографія М. Шарадзе и К°, Николаевская ул. № 21

1899

Дозволено духовною цензурою. Тифлисъ, 19-го Декабря 1899 года.

წმინდა მოწამე

აგო ტფილელი

არაბთა ხშირმა თავ-დასხმამ და ხაზართა ურდოების შემოსევამ მე-VII—VIII საუკუნეში სრულიად მოაუძლურა საქართველო და ძირი გამოუთხარა მის საეკლესიო და საერო კეთილ-მდგომარეობასა. თითოეულ მოოხრების შემდეგ დიდი ამაგი უნდა გაწეულიყო და დიდი ფული უნდა დახარჯულიყო ხოლმე დანგრეულ ეკლესიათა და მონასტერთა განახლებისათვის და ეს გარემოება მეტისმეტად ასუსტებდა მეფის ხაზინასა და საეკლესიო ქონებასა. საბერძნეთის იმპერატორს და ხალიფა მოაბას შორის დადებულ სამშვიდობო ხელ-შეკრულობით 686 წელს უმწეო საქართველო ორ თანაბარ ნაწილად იქმნა გაყოფილი; ერთს, სახელდობრ, აღმოსავლეთის ნაწილს დაეპატრონენ არაბნი, ხოლო მეორე, დასავლეთისა ხელში ჩაიგდეს ბერძნებმა. მაგრამ ამ სამშვიდობოდ დადებულ ხელშეკრულობით სრულიადაც არ დამყარდა მშვიდობა გატანჯულს ქვეყანაში. შედეგი ამ მშვიდობისა, რომელიც დაფუძნებული იყო ძლიერის უფლებაზედ, მძიმე ტვირთად დააწვა საქრისტეანო სამეფოს, ქრისტეს ჯვარის მტერთაგან გაწეწილსა და წამებულს. ხოლო უფრო საშუბარო იყო ბედი აღმოსავლეთის საქართველოსი, რომელიც მსხვერპლი გახდა ფანატიკოსობით გააფთრებული მოსლემინებისა, აქ არაბნი ისე იქცეოდნენ, როგორც თავიანთ ნება იყო: არა ჰმა-

ლავდნენ ქრისტეანობის სიძულვილს და უწყალოდ სდევნიდ-
ნენ ყოველსავე, რასაც ქრისტეანული რამ ეტყობოდა.

ამ დროს საქართველოს განაგებდა ნერსე, შვილი
ადარნასე I-ისა (619—639) კუროპალატისა, რომელიც
მტრებმა დაასმინეს სარაკინთა ემირ მუმნი-აბდალას წინა-
შე. ნერსესი დაიბარეს ბაღდადს და ჩასვეს საპყრობილეში.
სამს წელიწადს იყო ასეთს პყრობილებაში და თვით შეეიწ-
როებული რას უშველიდა თავის შეწუხებულს სამეფოს?! ამ
დროს არაბნი გამძვინვარებით სდევნიდნენ ქრისტეანებს და
ქრისტეანობას საქართველოში: ჰელეტდნენ ხალხს, ანგრევდ-
ნენ ეკკლესიებსა და მონასტრებს და ძალ-მომრეობით ათათ
რებდნენ ქრისტეანებს. მაშინდელი მემატიანე ასე აგვიწერს
საქართველოს მდგომარეობას იმ შავ-უკულმა დროს: „რო-
მელნი ესე ვართ ყურესა ამის ქვეყანისასა სასტიკებისაგან ბ
სიეერაგისა მანქანებითა მით საკთურისათა ზედა მდგომელ-
თა ამათ ჩვენთა მფლობელთა ამის ჟამისათა ზაკულებითა
მოძღვრებისათა თვით თავით თვისით ჰსჯულის დებითა ქრის-
ტესგან მრავალნი შეაცთუნნეს და გარდასდრიკნეს გზისაგან
სიმართლისა და ჭეშმარიტებისა ქრისტეს სახარებისა შეაც-
თუნნეს. რომელნი ხუთას წლისა ჟამთა და უწინარესთა
სჯულ-დებულ ყოფილ წმიდითა მადლითა ნათლის-ღებისათა
მიერიდგან და ვიდრე აქამომდე ნაშობნი ქრისტეანეთანი
გარდაგვლარძნეს: რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტ-
ყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელ-
ნიმე მზაკვარებით და სხვანი; რომელ ესე ვართ-ღა მორწმუ-
ნენი მოძღვრებასა ქვეშე დამონებულ და ნაკლულევანებითა
და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ბარკსა ქვე-
შე მათსა გვემულნი და ქენჯნილნი ძვირ-ძვირად ზღვეულ-

ნი შიშით განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქარისაგან ძლიერისა» [1]).

ბერძნები ვერავითარს დახმარებას ვერ უწევდნენ ერთ მორწმუნე ერს, რადგან თვითონაც დასუსტებულნი იყვნენ ხანგრძლივის ბრძოლით რიცხვ-მრავალ სპარსელებთანა და არაბებთან. კაცს ეგონებოდა, რომ ორად განყოფილი სამეფო საქართველოსი იღუპებაო. მაგრამ ღვთის განგებას ჰნებავდა, რომ ჯვარი, დადებული საქართველოს ეკკლესიის საფუძვლად, გამხდარიყო საზომადაც მისის განძლიერებისა და განმტკიცებისა ქრისტეს სარწმუნოებით და თან შექმნილიყო მის მოწამებრივ გვირგვინადაც. უდრტვინველად ითმენდა წმ. ივერია თვისის ჯვარის სიმძიმეს და მაგალითი მოწამეთა, რომელნიც გმირულად ეწინააღმდეგებოდნენ სარაკინთა ფანატიკოსებს, ამხნევებდა ერს, აღფრთოვანებდა მის სულს და აღვიებდა მის გულში საქრისტეანო სარწმუნოების ცეცხლს. წამებულ საქართველოს საეკკლესიო ისტორია შეღებილია წმ. მოწამეთა და ქრისტეს აღმსაარებელთა სისხლითა, იმ ყოვლად ქებულ ზეციურის მოძღვრებით მოსილთა კაცთა და ქრისტესათვის თავ-დადებულთა მებრძოლთა, ყოვლად აღმატებულთა თავიანთ თანამედროვეთა შორის.

მაგალითი და ცხოვრება ბევრად უფრო ძლიერად ჰმოქმედობს ჩვენზედ, ვიდრე სიტყვა რადგან რა არის მართლაცა ცხოვრება წმინდათა, თუ არა გრეხილი, მაჩვენებელი კეთილ-მსახურების ღვაწლისა და მით მწვრთნელი ჩვენი? ცხოვრება წმინდათა ძვირფასი სალაროა, საიდანაც ყველას

---

[1]) იხ. საქართველოს სამოთხე, საბინინისა, გვ. 334.

შეუძლიან ამოიღოს, რაც-კი საჭიროა მის წარმატებისათვის სულიერს ცხოვრებაში, შესაფერად მის ძალ-ღონისა, წლოვანებისა, წოდებისა და შეძლებისა. გაცნობა ამ სულით გმირთა ცხოვრებისა და მათის მოწამეობის ისტორიისა დიდად საინტერესოა თვითოეულის ჭეშმარიტის ქრისტეანესათვის. მათი მაღალი ქველობა და სათნოება, მათი მოწამებრივი ღვაწლი ამაგრებდნენ ქრისტეანეთა და ამყარებდნენ მათ-შორის კეთილ-მსახურებასა. ღვაწლ-მოსილობა მათი ამაღლებს სულს, აღანთებს სარწმუნოებას და ქრისტეს-მიმართ სიყვარულს, აღძრავს კეთილ-მსახურებით აღსავსე მეშურნეობის და წამბაძველობის სურვილს, ამხნევებს ადამიანს, ნუგეშს სცემს, ძალას აძლევს ცხოვრების უკულმრთოობის ასატანად, ავსებს გონების ქრისტეანობის მაღალისა და დიდებულის მოძღვრების ფიქრითა. ჩვენმა ქვეყანამ იმდენი მაგალითი გვაჩვენა ქრისტეანულის გმირობისა, რომ მაშინდელი მწერალი იოანე საბანისძე ამბობს, „ქართლი მოწამეთა ქვეყანაა და წოდებულ არს დიდად წმიდათა“ [2]).

მაგრამ მოწყალე ღმერთმა უნუგეშოდ არ დასტოვა საქრისტეანო ქვეყანა უბედურებათა და დევნულებათა შორის: ბაღდადის მბრძანებელს ამირა ალმუმენს ჩააგონა მან გაენთავისუფლებინა საპყრობილედამ უდანაშაულოდ ტანჯული ნერსე. ნერსემ მიიღო ნება-რთვა ქართლის გამგეობისა და წამოვიდა თავის სამშობლო ქვეყანაში. 18 წლის ჭაბუკმა აბომაც, ტომით ისმაიტელმა, დაანება თავი სამშობლო ქვეყანას, მიატოვა თვისი დედ-მამა და გამოჰყვა ნერსეს. აბო სცხოვრობდა საქართველოში მის გამგებლის კარზედა, ტრიალობდა ქრისტეანეთა შორის, სწავლობდა ქართულს და უფიქრ-

---

[2]) იხ. საქართველ. სამოთ. საბინინისა, გვ. 347.

დებოდა ქრისტეს სარწმუნოებას. აბომ თვისის კეთილის ხასიათებითა და პატიოსნებით დიდი სიყვარული დაიმსახურა ერისა. ბავშვებიდანვე, ჯერ ისევ თავის სამშობლო ქვეყანაში, აბოს ხელობად ჰქონდა ნელ-საცხებელთა და კეთილსუნელოვან მირონის შეზავება და ახლა ხომ თვით ეღირსა ჭეშმარიტის მირონის ცხებასა ქრისტეს სარწმუნოების მეოხებით. აბო დარწმუნდა, რომ ქრისტეს სარწმუნოება ჭეშმარიტი სარწმუნოებაა, გულითა და სულით შეიყვარა ქრისტე, მაგრამ ვერ ჰბედავდა მონათვლასა, რადგან ეშინოდა ტფილისში დამკვიდრებულ არაბებისა. ამასობაში კვლავ შემოესია ამირა საქართველოს, კვლავ ჩავარდა ნერსე განსაცდელში. ნერსემ მიატოვა უმწეო ქართლი და გაიხიზნა დარიალის გზით ხაზარეთში, საცა მკვიდრობდნენ ძენი მაგოგისა, რომელთა შორის სცხოვრობდნენ ქრისტეანენიც; ნერსესს თან ახლდა აბოცა და სამასი ქრისტეანე მხედარი. აქ, თავის ახალ სამშობლოს გარეშე, აბო უშიშრად ჰგრძნობდა თავს და ამიტომ მოინათლა იქაურ მღვდლის ხელით. ხაზარეთიდან ნერსე თვისის განუშორებლის მხლებლებით აფხაზეთს გაემართა აფხაზეთში, რომლის მკვიდრთა კეთილ-მსახურება და წმინდა ცხოვრება აკვირვებდა ყველას, უფრო შეემსჭვალა ქრისტეანობას ახლად ნათელ-ღებული აბო. განვიდა უდაბნოდ და სამი თვე განატარა ლოცვითა, მარხვითა დ̃ მდუმარებითა. მხოლოდ ბრწყინვალე აღდგომა დღეს აღახვენა ენა ღვთის სადიდებლად და სალალადებლად. უფალი რომლის სიყვარული ასე ცეცხლებრ აღენთო ახალგაზდა ღვაწლ-მოსილის გულში, ბრწყინვალე გვირგვინს უმზადებდა აბოს.

ამირამ მოოხრებულისა და აკლებულის ქართლის სამეფოს გამგებლად დაჰნიშნა სტეფანოზი, ძე გურგენისა, ძმისწული ნერსესი. ახალმა გამგებელმა სთხოვა თავის ბიძას ტფილისს დაბრუნებულიყო. აფხაზეთის ქრისტეანენი ეხვეწებოდნენ კეთილ-მორწმუნე აბოს, დარჩი ჩვენ შორისაო. „ტფილისი, მთლად ქართლი და კახეთი ხელთ უპირავთ სარაკინებსაო, ეუბნებოდნენ აბოს. გაიგებენ ისინი შენს შთამომავლობას და ყოველის ღონის-ძიებით ეცდებიან კვლავ მიგაღებინონ მაჰმადიანობა და საქმე ცხოვნებისა, რომელიც შენ დაიწყე ასე სასიქადულოდ, ჩაიფუშება.“ გარნა აბო არ შეუშინდა განსაცდელსა და გამოჰყვა თავის კეთილის-მყოფსა ტ მფარველსა. ნერსესთან ერთად მოვიდა აბო ტფილისში და თვისის მაგალითითა და ქცევით ამხნევებდა ქართველ ქრისტეანებსა, ჰგმობდა თვისთა თანამემამულეთა ბიწიერს ცხოვრებასა და სარწმუნოებას და უქადაგებდა ქრისტეს ყოვლადმხსნელ მოძღვრებასა. მისმა გულ-მოდგინებამა ქრისტეანობაში, მაღალმა სათნოებამ და დიდად ღვაწლ-მოსილმა ანგელოზებრ უზაკველმა ცხოვრებამ აღძრა სიძულვილი აბოს მიმართ მის თანამემამულეთა შორის: ზოგნი ამტყუნებდნენ მას მამა-პაპის სჯულის ღალატისათვის, ზოგნი სწყევლიდნენ და იკლებდნენ ლანძღვითა, ზოგნი კიდევ სიკვდილს ემუქრებოდნენ. მაგრამ ვერც ცთუნებით, ვერც მუქარით ველარ შეარყიეს წმ. აბო და ვერ ააღებინეს ხელი ქრისტეს სარწმუნოების სიყვარულზედა. არაბთა უფროსმა, მტერთა დასმენით, შეიპყრო აბო, მაგრამ ქართლის გამგებლის სტეფანოზის დახმარებით, იგი განთავისუფლებულ იქმნა.

მაჰმადიანები მაინც თავისას არ იშლიდნენ და ურჩევდნენ აბოს უარ-ეყო ქრისტე, დაჰბრუნდებოდა თავის მამა-პაპათა

სარწმუნოებას. თვით ამირამ მიუწოდა აბოს და სცდილობდა ჩაეგონებინა უარ-ყოფა ქრისტესი და ხელ-ახლად მიღება იმ სარწმუნოებისა, რომელშიაც იყო დაბადებული, მაგრამ აბო თავის მხრით ამირას ურჩევდა, შენ დასტოვე შენი ცთომილება და იგემე სიტკბოება ქრისტეს საწმუნოებისა ნათლისღების შემწეობითაო. ბოლოს, რაკი აბოს მტერნი დარწმუნდნენ, რა მტკიცედ იდგა აბო ქრისტეს სარწმუნოებაზედ და რა სიძულვილით იხსენიებდა მაჰმადის ცრუ-მოძღვრებას, კვლავ შეიპყრეს, დაადეს ბორკილები და ისე ჩააგდეს საპყრობილეში. მაგრამ აქაც, ბორკილებ-დადებული, აბო არა სცხრებოდა და სწყევლიდა მაჰმადიანთა სარწმუნოებას. აბომ იცოდა, რომ მტერნი აღარ დაინდობდნენ მით უმეტეს, რომ ხმა გავრცელდა მის თანამემამულეთა შორის, რომ აბომ თავის ქადაგებით ბევრი მაჰმადიანი გადაიბირა და მიაქცია ქრისტეანობადაო. ამას გარდა ეუწყა კიდეც ზეცით, რომ მოახლოვდა დღე შენის აღსრულებისაო და ამიტომ იწყო მზადება მოწამებრივის სიკვდილის მისაღებად. აბომ გაჰყიდა თავისი ზედა-ჩასაცმელი ტანისამოსი და ამ ფულით იყიდა სანთელ-საკმელი, რომელიც გაუგზავნა მართლ-მადიდებელ ეკკლესიების მღვდლებს და სთხოვა, ილოცეთ ჩემთვის უფლისა მიმართ; ხოლო თვით ემზადებოდა მოწამებრივის გვირგვინის მისაღებად და ლოცულობდა გათენებამდე.

აბომ მიიღო წმ. საიდუმლო ზედ ნათლიღება დღესა, იცხო თავზედ ზეთი და წარმოსთქვა: „ახლა მზადა ვარ“. მოვიდნენ ამ დროს მხედარნი და აბო წაიყვანეს საპყრობილედამ იმ აზრით, რომ ამირას შეუშლიელის გარდაწყვეტილების ძალით, დაესაჯათ სიკვდილით. არაბებმა გაიყვანეს ქალაქ გარედ აღმსარებელი ღვთისა და 40 მოწამეთა ეკკლესიის გა-

ლავანში [3]) შეუხსნეს ბორკილები. აბო სიხარულით დაემხო მუხლებზედ, გადაიჯვარედინა ხელები, დაიხარა კისერი და წარმოსთქვა გულს-ჩამწვდენი სიტყვები ჯვარზედ გაკრულის ნეტარი ავაზაკ „**მოიხსენე, მე უფალო, სასუფეველსა შენსა**". სამჯერ დაჰკრეს ხმალი ყელითა, იქნება შეშინდეს და შეინანოს თავისი საქციელი, ხოლო მეოთხე დაკვრაზედ მოჰკვეთეს თავი [4]). და ჯალათებმა, იმ აზრით, რომ ქრისტეანენი არ დაეპატრონენ ამის წმ. ნეშტსაო, სთხოვეს, ამირას ნება მოგვეცი დავწვათ აბოს გვამი. აიღეს ნება, გადაალხეს ჯერ ნავთი და მერე დასწვეს [5]) მეტეხის ხიდს ახლოს [6]); ხოლო რაც ძვლები საჩქაროზედ ვერ დაიწვა და აგრედვე ფერფლი მოაგროვეს და გადაჰყარეს მტკვარში [7]). ამ სახით,

---

[3]) ეს ტაძარი დააქცია შაჰ-აბაზ I-მა. იგი იყო მეტოქი ივერიის კარისა მღვთის-მშობლის მონასტრისა.

[4]) ამ ადგილს ეწოდებოდა „სადილეგი". დილეგი-საპყრობილეა. ამ ადგილას ახლა დუქან-ბაზარია გამართული.

[5]) ადგილს, სადაც დასწვეს წმ. აბო, ეწოდებოდა, „საგოდებელი", ესე იგი ადგ-ლი ვლოვისა და ცრემლისაო. ძველის-ძველთაგანვე ტფილისის ქრისტეანეთა აქა ჰქონდათ თავიანთი სასაფლაო.

[6]) ეს ის ხიდია, რომელიც სპარსელთ მეჩითის ახლოს არის და დღესაც ეწოდება „ხიდი მოწამეთა".

[7]) ზოგიერთნი ძველნი წმ. აბოს სხეულისა გადარჩა დაწვას, ამბობს ალმწერი მისის ცხოვრებისა, წყლიდან ამოიღეს იგინი და დაჰკრძალეს იმ ადგილას, სადაც მოწამებრივ განუტევა სული ნეტარმა, აქედამ მერე, როგორც ამბობს ვახუშტი, ნეშტი წმ. გადატანილ იქმნა გორის მაზრაში, სოფ. არბოს, საცა მათ დაკრძალვის ადგილას აშენებულია ეკლესია წმ. აბოს სახელობაზედაო. იხ. გეოგრ. აღწ. საქართვ. ვ.ხუშტისა, გვ. 250, 1ხოლ. მაგრამ ეს აზრი ჩვენის ისტორიკოსისა და გეოგრაფოსისა დამყარებელია მარტო ოდენ იმ მგზავსობაზედ, რომელიც არსებობ

მტკვრის ზვირთები გარდაიქცა წამებულის დამწვარ ძვალთა შესამოსად, ხოლო სიღრმე მდინარისა — საფლავად, ანუ, როგორც ამბობს იოანე საბანისისძე — „იქმნა წყალი იგი მდინარისაი მის წმიდათა მათ ძვალთა სამოსელ გარე შეხეევითა მით და სიღრმე იგი წყალთაი საფლავ წმიდისა მის მარტვილისა". ეს ამბავი მოჰხდა 790 წ., 7 იანვარს [8]). იმავ დღესვე, ღამით, ღმერთმა განაბრწყინა თვისი მოწამე: ზედ იმ ადგილას, საცა დასწვეს წმ. აბო, გამოჩნდა მაღლა ცაში ეტად ბრწყინვალე ვარსკვლავი, რომელმაც გააშუქა მთლად ტფილისი; ხოლო მეორე დღეს მეტეხის ხიდ-ქვემოდამ ამოდიოდა ცეცხლის სვეტი, იდგა მტკვარზედ და აშუქებდა მიდამოს. ამ საკვირველ-მოქმედებამ გააოცა ტფილისის მცხოვრებნი და თითოეული მათგანი მიისწრაფოდა იმ ადგილას, საცა წამებულ იქმნა ერთგული მონა ქრისტესი; თვით ადგილმა, რომელიც შეიღება მოწამებრივის სისხლით, მიიღო ძალი კურნებისა [9]).

ისტორია წმ. აბოს ცხოვრებისა და წამებისა, საესებით დაცული ჩვენს დრომდე წმიდათა მოღვაწეობის აღწერათა შორის, ცხადად ჰხატავს ზნეობრივს სახეს ამ წამებულისას

მოწამეს სახელს აბოსა და სოფელ არბოს შორის. არბოს შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ სიტყვა არბოობა ჰნიშნავს ბაზრობას და მაშასადამე სოფლის სახელ-წოდება არ არის წარმომდგარი მოწამის აბოს სახელისაგანა. თვით არბოს ეკკლესია აბოს სახელობაზედ კი არ არის აშენებული, არამედ წმ. მთავარ მოწამისა და ძლევა-შემოსილის გიორგის სახელობაზედ.

[8]) სხვათა მოწმობით, წმ. აბო იქმნა წამებული 786 წელს. ქართველთა საეკლ.-საარქეოლ. მუზეი № 176; ბროსეს აზრით, აბო აწამეს 6 იანვარს (786 წელს (Hist. de la geor. t. I, p. 136 n. 1).

[9]) იხ. სვანური მანუსკრიპტი საეკლ. საარქ. მუზეი სიონის ტაძართან, № 19 და მისივე ვარიანტი IX—X საუკ. იქვე № 95.

და ამიტომ ამ ისტორიას განსაკუთრებული სამოძღვრებო ⁊ საგულისხმიერო მნიშვნელობა აქვს [10]).

ტფილისის კეთილ-მსახურმა მცხოვრებლებმა აღმართეს პირველად ჯვარი წმ. აბოს წამების ადგილას, ხოლო შემდეგ ააგეს ნიშიცა. საქართველოს ეკლესიამ აბოს მოწამებრივის აღსრულების შემდეგ დააწესა დღესასწაული მისი 7 იანვარს, მის წამების დღესა. ამ დღეს დღესასწაულობდნენ საქართველოში 1750 წლამდე და სწორედ ამ რიცხვ ქვეშაა აღნიშნული ხსენება წმ. აბოსი ქამნში, რომელიც დაბეჭდილია ტფილისის მეფე ვახტანგ VI სჯულ-მდებლის დროს (1710 წ.) კათალიკოსმა ანტონი I-მ, 8 იანვარს გადაიტანა ეს დღესასწაული და მას შემდეგ ეს დღეა დადებული ჩვენში წმ. აბოს სადღესასწაულოდ [11]). კანონსა და სტიქარონებს, რომელიც შედგენილია მის სადიდებლად კათალიკოზ არსენისა, ბესარიონისა და ანტონ I-ის მიერ, და რომელიც დაბეჭდილია ღვთის-მსახურების წიგნებში, დღემდე ჰგალობს საქართველოს ეკლესია. ჩვენამდე მოაღწია ძველმა სტიქარონებმაცა და კანონებმა წმ. აბოსათვის დაცულმა მიქელ-მოდრეკილის დიდს ეტრატის ხელ-ნაწერში [12]).

---

[10]) იხილე წმ. მოწამე აბო ტფილელი მე-IX საუკ. მანუსკრიპტიდან დაბეჭდილი და სხვა ხელთნაწერთან შედარებული. აქვე ბოლოში მოთავსებულია სავედრებელი გალობა. გამოცემა საქართველოს საეგზარხოსოს საეკლესიო მუზეუმისა № 3, 1899 წ.

[11]). იხ. Житіе Св. муч. Або Тифлисскій. Полное жизн. св. гр. церкви, Сабинина, ч. I., стр. 166—178; О праздн. установл. Груз. Прав. церк., Пурцеладзе. ст. 120—125; Груз. и Армения, Муравьева, ч. 3. стр. 30—35; საქ. სამოთხე, საბინინისა, გვ. 333—350.

[12]) წერა-კითხ. გამავრ. საბ. ბიბლ. № 425.

აღწერა წმ. აბოს ცხოვრებისა შედგენილია სამოელ კათალიკოზის ბრძანებითა და კურთხევითა. მისი შემდგენელი იოანე საბანისძე სცხოვრობდა აბოს წამების დროს და, როგორც თანამედროვემ, საკმაოდ დაწვრილებით აღწერა წამება აბოსი. ეს აღწერა ოთხ ნაწილად არის გაყოფილი. პირველშია მოთხრობილი ამბავი ქრისტეს ეკლესიის გმირთა წამებისა და აგრეთვე ამბავი წმიდათა მოღვაწეობისა; მეორეში—ისტორი აბოს მოსვლისა ქართლს; მესამეში—წამება წმ. აბოსი და მეოთხეში ქება აბოსი.

გენერალმა ა. პ. ერმოლოვმა ჰბრძანა 1825 წელს განახლება წმ. აბოს წამების ადგილას[12]) ნიშისა და წამებულის ხატის დასვენება იმ ნიშში. გრაფმა პასკევიჩ-ერევნელმა განამშვენიერებინა იგი ნიში, ხოლო 1848 წელს სენატორმა ს. ვ. საფონოვმა დაასვენა წმიდანის ხატი და გააკეთებინა შუშის კარი კლდეში, მეტეხის კლდის ძირში, საიდანაც გადაჰყარეს მტკვარში ნეშტი წმიდანისა. ეს იმიტომ მოიქმედა საფონოვმა, რომ შეთქმული ჰქონდა, რადგან განიკურნა წმიდანის მეოხებით. ნიში შემდეგ დაძველდა. 1882 წელს მ. პ. საბინინმა დაჰხატა ახალი ხატი წმ. მოწამის აბო ტფილელისა და დიდის გამოჩინებითა და ლიტანიით დაასვენეს ნიშში, რომელიც იმავე მ. პ. საბინინის გულ-მოდგინეობით გამშვენებულ იქმნა. ამ ჟამად ეგ ნიში მიწერილი აქვს ფერისცვალების (დარიის) მონასტერს.

ასეთი იყო ცხოვრება, ღვაწლი და მოწამებრივი სიკვდილი აბო ტფილელისა. დიდად სამწუხაროა, რომ იმ ადგილას,

---

[12]) წესი მღვდელ-მსახურებისა წმ. აბოს დღეობას, იხ. ხელ ნაწერი საქ. საეკლ. მუზეუმში, № 170, გვ. 304—320.

საცა იწამა წმ. აბო, რომელიც დღეს შვენებაა და დიდება ტფილისისა, დღემდე ეკლესია არ არის აგებული ტ სახელი ამ ყოვლად-ქებულისა და ჩვენის ქალაქის მუდმივ მფარველ-პატრონისა, ასე ნაკლებად ცნობილი დღევანდელ მისთა მცხოვრებთა შორის, არც-კი იხსენება ჩამოლოკვაზედ აქაურს მართ მადიდებელს ეკლესიებში. დავიწყება, მართალია, ხვედრია კაცობრიობისა, გარნა ტფილელებს ახლა მაინც უნდა დაემოწმებინათ ნივთიერად და საუკუნოდ ეყოთ მოწიწება თვისი წმ მოწამის ხსოვნისადმი მის სახელზედ ეკლესიის აგებით იქ, სადაც მოწამებრივ აღესრულა ახოვანი იგი. ამით ტფილისელნი იმ მხოლოდ და მხოლოდ შესაძლებელსა და სამართლიანს საყვედურს აიცილებენ, რომ ასე დაუნახავნი არიან წმიდანის ღვაწლისა და გულგრილნი იმ დიდებულის წმიდა მოწამისა მიმართ, რომელმაც სიცოცხლე თვისი დასდო ქრისტესა და მის წმიდა ეკლესიისათვის.

ჯ, კეთილ-მოღვაწეო აბო, ოხითა შენითა და ყოვლად მბურვალთა ლოცვითა იყავ მცველ და მფარველ ჩვენ ყოველთა ქრისტე ღმრთისა დიდებულისა ტახტის წინაშე და ამისათვის მიიღე ჩვენგან მცირედი ესე გალობა: გიხაროდენ კლდეო მტკიცეო შემმუსრველო ქრისტეს მტერთა ბოროტებისა განზრახვისაო; გიხაროდენ ქრისტეს სარწმუნოებისა სათნოებითა შემკულო; გიხაროდენ იერიის ეკლესიის სიქადულო; გიხაროდენ ქართველთა ერისა დიდო განმამტკიცებელო; გიხაროდენ ღვაწლითა და მარტვილობითა შენითა მრავალთა შორის ქრისტეს მიმართ სამღთოისა შურისა აღმძვრელო; გიხაროდენ დამთრგუნველო ქრისტეს მოძულე აგარიანთა გულ-ზვაობისაო; გიხაროდენ სხივ-ცისკროვანო მნათობო, აღმომხდარო ქალაქსა ტფილისს; გიხაროდენ

ქრისტეს მტერთა მწვალებლობისა შემარცხვენელო; გიხაროდენ უძლეველო გოდოლო და ივერთა სამეფოსა ზღუდეო; გიხაროდენ კეთილთა მიმნიჭებელო შენდა მვედრებელთაო გიხაროდენ სულისა ჩემისა მეოხო; გიხაროდენ სხეულისა ჩემისა შვენებაო; გიხაროდენ წმ. მოწამეო აბო, მორწმუნეთა ვედრებისა მსწრაფლ შემსმენელო.

Ⴡ: იანვარს წმ. აბოჲ ტფილისის წამებულისა.

Ⴑახითა ხმა Ⴃ, Ⴂიხაროდენ გამორჩეულო.

მაღლისა მიერ ღუთისა მამისა და ძისა მხოლოდ შობილისა მიერ წოდებულო; სულისა წმიდისა განბრწყინვებულო, ზეცას უხორცოთა გუნდსა თანა შეერთებულო; მოწამეთა და მართალთა შორის ქებულო; ეკლესიათა შუენირო სამკაულო, მარტვილთა სიქადულო, მეფეთა სიხარულო, მორწმუნეთა შემწეო, ახოვანო მოღვაწეო აბო ღმერთსა ევედრე აწ. მონიჭებად სულთა ჩუენთა დღეს დიდი წყალობაჲ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის გარდაცვალების 80 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ფონდ „ქართული ბიბლიოთეკის“ ხელშეწყობით ხელმეორედ გამოსცა კირიონ II-ის გასულ საუკუნეში გამოქვეყნებული შემდეგი ნაშრომები

1. წმიდა დავით III აღმაშენებელი, მეფე ქართველთა (1089-1125)
2. ამბავი დავით გარესჯის უდაბნოს საკვირველ-მოქმედის მადლის ქვისა
3. ცხოვრება და მოქალაქეობა ღირსისა მამისა ანტონ შესვეტისა, საკვირველთ-მოქმედისა მარტყოფელისა
4. წმიდა მოწამე აბო ტფილელი

1

2

3

4

© 1988, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „ნეკერი“